

საქართველოს  
კულტურისა და ძეგლთა  
დაცვის სამინისტრო



Ministry of Culture  
and Monument Protection of  
Georgia

გახეილ

0105. ქ.თბილისი, ხანაძის ქ. №4. ტელ: 2-996-377; ფაქს: (+99532) 2-987-430  
4 Sanapiro str. Tbilisi 0105. Georgia. Fax: (+99532) 2-987-430 Phone: 2-996-377

[www.culture.gov.ge](http://www.culture.gov.ge) E-mail: [pr@culture.gov.ge](mailto:pr@culture.gov.ge)

N01/01-1227

13 / მარტი / 2014 წ.

შპს „RMG Gold“ -ის გენერალურ  
დირექტორს  
ბატონ სერგეი ეგანოვს

ბატონო სერგეი,

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №313 განკარგულების თანახმად, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 13.01.2014 წლის №-01/08-107 ადმინისტრაციული აქტი და სამინისტროს დაევალა შპს „RMG Gold“-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ადმინისტრაციული განხილვის შედეგად, ობიექტური გამოკვლევის საფუძველზე, კონკრეტული გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღება.

აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების მასალები განსახილველად გადაეგზავნა სსიპ - „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“-ს, რომელსაც დაევალა საკითხთან დაკავშირებით კომპეტენტური დასკვნის მომზადება.

სსიპ - „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“ დასკვნის შემუშავებისას დეტალურად გაეცნო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტაციის სრულ პაკეტს, ასევე დამატებით შეისწავლა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/83 ბრძანების საფუძველზე შექმნილი „ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის“ საბოლოო დასკვნა და კომისიის მუშაობის დასრულების შემდგომ, 2013 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე განხორციელებული ორი სამეცნიერო ექსპედიციის და მონიტორინგის ანგარიშები, მ.შ.:

- საქართველოს ეროვნული მუზეუმის ქართულ-გერმანული ერთობლივი პროექტის ფარგლებში ი. ღამბაშიძის, თ. შტოლენერისა და ფ. კლაინის მიერ განხორციელებული „საყდრისის არქეოლოგიური ექსპედიციის 2013 წლის საველე სამუშაოების ანგარიში“ (14.08.2013-6.09.2013);

- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2013 წლის 14 აგვისტოს N2/116 ბრძანების საფუძველზე არქეოლოგიური სამუშაოების ზონაში მიმდინარე სამუშაოების მონიტორინგის ანგარიში;

- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მეთვალყურეობით შპს-ს „არქეოლოგთა

გაერთიანება" მიერ განხორციელებული „საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში“ (21.10.2013-21.11.2013),

\* თ. შტოლენერისა და ი. ღამბაშიძის ერთობლივ პუბლიკაციაში მოცემული ფაქტობრივი მასალა.

საკითხის კომპლექსური შესწავლის შედეგად, სსიპ-ის „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“ მიერ შემუშავებულ დასკვნაზე დაყრდნობით, რომლის თანახმადაც საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე უძველესი ოქროს მაღაროს, ან ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ძეგლის არსებობა, დღეისათვის არსებული კვლევების საფუძველზე, დადასტურებული არ არის და ამასთან, 2013 წელს ობიექტზე განხორციელებული არქეოლოგიური კვლევების შედეგად: აღნიშნულ ტერიტორიაზე კულტურული ფენების არსებობა არ დაფიქსირდა, თქვენი კომპანიის მიერ სამთო სამუშაოების განხორციელების მიზნით გეძლევათ დადებითი დასკვნა.

ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ საკითხის გარშემო მეცნიერების გარკვეულ ნაწილში ჯერ კიდევ არსებობს განსხვავებული მოსაზრება, საჭიროდ მიგვაჩნია, მოწვეულ იქნენ საერთაშორისო მაღალი რეპუტაციის მქონე, დამოუკიდებელი მეცნიერ-მკვლევარები, რომლებიც სააგენტოსთან ერთად მონიტორინგს გაუწევენ კომპანია RMG Gold-ის მიერ წარმოებულ სამთო სამუშაოებს, საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრავენ ობიექტზე მულტიდისციპლინარული კვლევების ჩატარების აუცილებლობას და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით და შესაბამისი გადაწყვეტილების შემთხვევაში განახორციელებენ მას.

პატივისცემით,

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი



ალექსანდრე მარგველი